avakaბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. აბაშა, 2020 წლის 5 მარტი.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, კოკი ჩაჩავა,ზაზა გაბელაია, შოთა ჭანტურაია და ზურაბ შუბლაძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბენია პიტავა და მერაბი მელია
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების ანგარიში 2019 წელს განხორციელებული გამარტივებული შესყიდვისა და ელექტრონული ტენდერის შესახებ.

მომხს: გ.კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების ანგარიში 2019 წელს განხორციელებული გამარტივებული შესყიდვისა და ელექტრონული ტენდერის შესახებ.

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების ანგარიში 2019 წელს განხორციელებული გამარტივებული შესყიდვისა და ელექტრონული ტენდერის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: შ.ჭანტურაიამ, ზ.გაბელაიამ და ზ. შუბლაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი-აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების ანგარიში 2019 წელს განხორციელებული გამარტივებული შესყიდვისა და ელექტრონული ტენდერის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: გ.კუპრავა